იყო მჭრელი დისკოების მძრავ ელექტროძრავაზე. ჩაწერილი დიაგრა-
მებიდან (ნახ. 3) ჭრისათვის საჭირო სიმძლავრე განვსაზღვრეთ ტოლო-
ბით

$$W_{\text{მა}} = h \cdot k \quad (4)$$

სადაც W ეს არის ლეროს გადაჭრისათვის საჭირო სიმძლეადობა: h — ჩაწერილი დიაგრამის ორდინატის მაქსიმალური სიმძლეადობა; K — ხელსაწყოს გაშტაბი ($K=0,300$ კმ/გგ).



$$d = 1222; \quad d = 1822; \quad d = 2422; \quad d = 3222;$$

ნახ. 3. სხეულის ფაზურების ლეროების კრის დაგრამები.

ვიცით აგრეთვე, რომ დიაგრამის ნებისმიერი ორდინატის დრო შეგვიძლია განვსაზღვროთ ლეროს კრის დროს. შესრულებული მუშაობის პირობიდან.

$$A = W_{\text{გრ}} \int_{\Delta t_1}^{\Delta t_2} dt \quad (5)$$

მე-5 ფორმულაში Δt_1 და Δt_2 შესაბამისად წარმოადგენს კრის დაწყებისა და დამთავრების დროს. ექსპერიმენტის შედეგად ვიცით რა Δt -ს შესაბამისი კრის სილიცე ΔS . შეგვიძლია კრის სილიცე — მანძილი გამოვსახოთ კრის დროისაგან დამოკიდებულებით:


$$\frac{S_2}{S_1} = V \int_{\Delta t_1}^{\Delta t_2} dt \quad (6)$$

კრაშე შესრულებული მუშაობისა და კრის წინაღობის ძალის თანაფარდობის გამოსახატავად შეიძლება დავწეროთ:

$$A = W_{\text{გრ}} \int_{\Delta t_1}^{\Delta t_2} dt = P_{\text{გრ}} \int_{S_1}^{S_2} ds \quad (7)$$

$$P_{\text{გ}} = \frac{A}{S_2} \int ds$$

ექსპერიმენტების შედეგად მიღებული მონაცემებით დამყარებულ იქნა დამოკიდებულება შესრულებული მუშაობისა და ჭრის წინაღობის ძალის რცხილის სხვადასხვა დიამეტრის ლეროებისათვის, როცა ლეროების ტენიანობა 70%-ს შეაღებულია (ნახ. 4). ამავე დიაგრამაზე მოცემულია რცხილის ლეროების სტატიკურიად ჭრის დროს კრის წინაღობის ძალის მნიშვნელობაზე, რომელთა ანალიზით ჩანს აქტიური სამუშაო ორგანოების უპირატესობა უზის წინაღობის ძალის შემცირების თვალსაზრისით.




ნახ. 4. რცხილის ლეროების სტატიკური და დინამიკური ჭრის წინაღობის ძალის მნიშვნელობები.

ჭრის წინაღობის ძალისა და შესრულებული მუშაობის სიდიდეები, მიწოდების სხვადასხვა სიდიდეზე, წარმოდგენილია მე-5 ნახ.-ზე.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, მუდმივი დიამეტრის ლეროს გადაჭრის დროს, მიწოდების სხვადასხვა სიდიდეზე, ჭრის წინაღობის ძალისა (1) და ჭრაზე შესრულებული მუშაობის (2) გამომხატველი მრუდები იკვეთება ერთ წერტილში.

მიწოდების ოპტიმალურ სიდიდედ შერჩეულია $H=0.0072$ მ/გრ,
ხოლო მანქანის გადაადგილების სიჩქარედ — 0,2 მ/წმ. ბუჩქნარის მომკრელი მანქანის მუშაობისას, ვიცით რა მიწოდების მიახლოებითი ოპტიმა-

ლური მნიშვნელობა, აგრეთვე მოსაკრელი ბუჩქების ცალკეული ფართის განაწილება, შეგვიძლია განვითაროთ ცრაზე დახარჯელი სიმძლავე.



ნახ. 5. მიწოდების სხვადასხვა სიღრდეზე კრაზე შესრულებული მეშაობისა და კრის წინააღმდეგ მაღალი დამყოფებულებანი

ბუჩქნარების ადგილზე შესწავლა გვიჩვენებს, რომ ბუჩქნარის ძირების დიამეტრი უმთავრესად შეადგენს 0,4 მ-ს, ხოლო კრის ზონაში ღეროების საშუალო დიამეტრი ტოლია 16 მმ-ის. გაანგარიშებებით თუ დავუშვებთ, რომ ბუჩქის ძირის ფართი ტოლია 1,5 მ²-ის და ამ ფართობზე მოთავსებული ღეროების საერთო რაოდენობა შეადგენს 12-ს, მაშინ წევვიძლია გავიანგარიშოთ ერთი მიწოდების დროს გადასაკრელი ღეროების საერთო რაოდენობა, რომელიც ტოლია:

$$K = \frac{n \cdot S}{F} \quad \text{ცალი} \quad (9),$$

სადაც n არის ბუჩქის ძირის მთლიან ფართობზე ღეროების საერთო რაოდენობა ($n=12$ ც). S —ერთი მიწოდების დროს მიწოდებული ღეროების საერთო ფართი მ²-ში; F — მოსაკრელი ბუჩქის ძირის მთლიანი ფართი.

გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ $K=6$ ცალს, ვიცით რა ერთი ღეროს კრის წინააღმდეგ მაღალი, შეგვიძლია განვითაროთ საჭირო სიმძლავე.

$$W = (W_1 \cdot K + W_{25}) \cdot \cos\varphi, \quad (10)$$

სადაც W არის მანქანის საჭირო სიმძლავრე; W_1 — ერთი ღეროს კრისათვის საჭირო სიმძლავრე; K — ერთი მიწოდების დროს მოსაკრე-

ლი ლეროების რაოდენობა; $W_{\text{ა.}} =$ უქმი სვლის სიმძლავრე, იგდ
ტოლია 0,54 კვტ; $\cos \varphi =$ მ. ქ. კ, რომელიც ტოლია უსტიზურული
მაშინ $W = (5,4 - 0,54) \cdot 0,97 = 5,7 \text{ კვტ}.$ ბეჭდური მიერ

ჩატარებული კელევების შედეგად შეიძლება ალინიშნოს, რომ და-
საცემარებელი მანქანის სამუშაო ორგანოების გაანგარიშებული პარა-
მეტრები, როგორიცაა: ჭრის წინაღობის ძალის მნიშვნელობა, ბუჩქის
მოკრის საჭირო სიმძლავრე, მიწოდების სიდიდე, მკრელი დისკების
განლაგების სქემა და სხვა, შეიძლება საფუძვლად დაედოს მანქანის სქე-
მის შერჩევას, რომელიც დააკმაყოფილებს ბუჩქნარის მოკრის აგროტექ-
ნიკურ მოთხოვნებს.

საქართველოს მინისტრის ბიბლიოთის რეპირაციის
სასრულო-სამუშაო ინსტიტუტის განვითარების № 6 (128), 1982.



ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАКА
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, № 6 (128), 1982.

УДК 631.31

ი. იოანაშვილი

მოსახრეთი თაოთით ზისძირა წრედის წარმოების პროცესის აღალიში

მრავალწლიანი ნარგაობის, კერძოდ, ხეხილის ბალებში ნიადაგის და-
მუშავების აგრძელების ური და ეკონომიკური მოთხოვნებით საჭირო
როგორც მწერივთაშორისებში, ისე მწერივებში ნიადაგის მექანიზებუ-
ლი დამუშავება წარმოებდეს იმგვარად, რომ ხის ძირის ირგვლივ დარჩეს
დაუმუშავებელი ნიადაგის ფართი წრიული ფორმით, რომლის რადიუსი
უნდა იყოს არანაკლები დაცვის ზოლის სიგანისა. ამრიგად, იღეალურ
შემთხვევაში, ამ ფართს უნდა ჰქონდეს წრის ფორმა, რომელიც პრაქ-
ტიკულად, დეფორმირებულ სახეს ლებულობს (ნახ. 1-ი). რიგი მკალევა-
რების აზრით, ეს მოვლენა იმსახურება მოსაბრუნი ან გასაწევი თაოთის
გრძივი და განივი სიჩქარეების შეფარდებით.




ნახ. 1

თუ განვიხილავთ მოსაბრუნი თათით ხისძირა წრედის ფორმირების პროცესს, დაეინახავთ, რომ მისი საწყისი ფორმა არ ემთხვევა წრე და ამიტომ, წრედის დეფორმირების ახსნა მარტო სიჩქარეების უზურიშობულები ამომწურავი არ არის.

აგროტექნიკური მოთხოვნებით მწკრივის პარალელური X_0-X_0' მიმართულებით მოძრავი და ამავე მიმართულებასთან ე კუთხით განხრილი თათის მჭრელი პირი ხისძირა დაცვის წრესთან მიახლოებისა და შეხებისთანავე უნდა იწყებოს შემობრუნებას და წრის გარშემოვლას, ანუ შემოხაზვას. ამრიგად, ხისძირა ღაცვის ირგვლივ ზოლის, ე. წ. წრედის კონტურის პირველი უბანი წარმოადგენს წრის მხების (ნახ. 2-ა; მხები 1₀—1) AB მონაკვეთს.

კონტურის შემდგომი უბნის დასადგენად ვლებულობთ ღაშვებას, რომ თათის მმართველი ავტომატური მოწყობილობა უზრუნველყოფს წრის შემოწერას. თათის მჭრელი პირით მისი გრძივი მიმართულებით



ნახ. 2

გადაადგილებისა და განივი მიმართულებით შესაბამისი შემობრუნების შედეგად (2₀—2, 3₀—3, 4₀—4, 5₀—5). ასეთი წრიული კონტურის BC შემოწერა გრძელდება მანამდე, ვიდრე მცრელი პირი აქტუალური ფრენტის ზის ნორმალი (6₀—6). ამ შემთხვევაში მცრელი პირი შედეგი ადგენს რადიუსის გაგრძელებას და მისი ბოლო წერტილი (6) პრაქტიკულად ვეღარ გაყვება წრეხაზის დანარჩენ CE რეალს. რადგანაც, ამისათვის საკირო იქნება მანქანის უკან დახევა. ფაქტიურად C წერტილში მცრელი პირის ბოლო წერტილი (6) ტოვებს წრეხაზს და ავტომატური მოწყობილობით თათის სწრაფად შემოტრიალების შედეგად იგი გადის მწყრივის ლერძულ X—X ხაზზე (D) ისე, რომ მცრელი პირი მიიღებს საწყის კუთხით დახრილობას (7₀—7).


იმის გამო, რომ თათი შემობრუნებასთან ერთად გადაადგილდება, აგრეთვე, გრძივი მიმართულებით, კონტურის ბოლო უბანს ექნება ციკლოიდის სახე. ამასთან, რაც მეტი იქნება გრძივი მიმართულებით გადაადგილების სიჩქარე თათის შემობრუნების სიჩქარესთან შედარებით, ეს უბანი იქნება უფრო გაკიმული და დამუშავებული ECD ფართიც მოიმატებს. ანდა, რაც უფრო დიდი სიჩქარით შემობრუნდება თათი, მით უფრო ნაკლები იქნება დაუმუშავებელი ფართი.

ბოლო, მესამე უბანზე დამუშავებული ფართის მინიმალური მნიშვნელობების დასადგენად დაეცვათ, რომ თათის ბოლო წერტილი (6) X—X მიმართულებაზე გამოვიდა უდიდესი სისწრაფით, ე. ი. t=0 დროში. მაშინ შეგვიძლია დავუშვათ, აგრეთვე, რომ ნების წერტილი ჯერაც არ დაძრულა ადგილიდან და თათის ბოლო კი უკვე გავიდა X—X მწყრივის ცენტრალურ ლერძულ ხაზზე C' წერტილში. მაშინ ცხადია, რომ მცრელი პირის ბოლო წერტილი გადაადგილდება (6₀—6) სიღიღის რადიუსით შემოწერილი წრეხაზის CC' რეალზე.


როგორც ვხედავთ, მანქანის ერთი გავლით მწყრივის ერთ მხარეზე, ნაცვლად თეორიულად დადგენილი ნახევარწრის ფორმის ხისძირა დაცის წრედისა, პრინციპულად შეიძლება მიღებული იქნეს რთული კონტურის წრედი, რომელიც X—X ლერძთან შემოფარგლავს სამ ფართს:

$$F_1=F_{ABC}; \quad F_0=F_{EBC'E} \text{ და } F_2=F_{CC'E};$$

თეორიულად დადგენილი ხისძირა წრედის შემთხვევაში მისი ფართი, რომელიც დატოვებული უნდა იქნეს აგროტექნიკური პირობებით იქნება:



$$F_4 = -\frac{\pi r^2}{2}$$

პრინციპულად შესაძლებელი კონტურის შემთხვევაში  ნახევარწრის ფართს წინა და ბოლო მხრიდან ემატება ორი მონაკვეთი F_1 და F_2 საერთო ფართი იქნება:

$$F_{2,3} = F_1 + F_0 + F_2 \quad (2)$$

რადგანაც F_0 ფართი უკვე ცნობილია, საჭიროა განისაზღვროს მარტო F_1 და F_2 ფართები.

F_1 ფართი წარმოადგენს ABK მონაკვეთის ფართს, რომელსაც განვსაზღვრავთ ABN სამკუთხედისა და KBN ნახევარსეგმენტის დახმარებით (ნახ. 2-ბ).

როგორც ვხედავთ:

$$F_1 = F_{ABN} - F_{KBN}; \quad (3)$$

$$F_{ABN} = \frac{|AN| \cdot |NB|}{2} = \frac{|AB| \cos \gamma \cdot r \cos \gamma}{2} = \frac{r \cdot \cos \gamma \cdot r \cos \gamma}{2 \cdot \operatorname{tg} \gamma};$$

საბოლოოდ

$$F_{ABN} = \frac{r^2 \cos^2 \gamma}{2 \operatorname{tg} \gamma};$$

ნახევარსეგმენტის ფართი იქნება:

$$F_{KBN} = \frac{r^2}{4} \left(\frac{\pi \cdot 2 \theta_1}{180} - \sin 2 \theta_1 \right) = \frac{r^2}{4} \left[\frac{\pi \cdot 2(90^\circ - \gamma)}{180} - \sin 2(90^\circ - \gamma) \right];$$

საბოლოოდ

$$F_{KBN} = \frac{r^2}{4} \left[\frac{2\pi(90^\circ - \gamma)}{180} - \sin 2\gamma \right];$$

ჩავსვათ მიღებული მნიშვნელობები (3) ფორმულაში და გვიქნება:

$$F_1 = \frac{r^2 \cos^2 \gamma}{2 \operatorname{tg} \gamma} - \frac{r^2}{4} \left[\frac{2\pi(90^\circ - \gamma)}{180} - \sin 2\gamma \right];$$

საბოლოოდ

$$F_1 = \frac{r^2}{2} \left[\frac{\cos^2 \gamma}{\operatorname{tg} \gamma} - \frac{1}{2} \left[\frac{2\pi(90^\circ - \gamma)}{180} - \sin 2\gamma \right] \right];$$

$$F_1 = \frac{r^2}{2} \left[\frac{\cos^2 \gamma}{\operatorname{tg} \gamma} - \frac{\pi(90^\circ - \gamma)}{180} + \frac{\sin 2\gamma}{2} \right] \quad (4)$$

F_2 ფართი წარმოადგენს $CC'E$ მონაკვეთის ფართს, რომელსაც ვანგარიშობთ $CC'L$ სწორკუთხოვანი სამკუთხედის ფართიდან. CEL ნახევარს სეგმენტის ფართის გამოკლებით, სადაც მიღებულია, რომ CC' რკალი წარმოადგენს ქორდას.

ამრიგად:

$$F_2 = F_{CC'L} - F_{CEL} \quad (5),$$

სადაც სწორკუთხოვანი სამკუთხედის ფართი სქემის მიხედვით იქნება:

$$F_{CC'L} = \frac{|CL| \cdot |C'L|}{2} = \frac{r \sin \Theta_2 (R \cos \Theta_2 - R \cos \gamma)}{2};$$

$$F_{CC'L} = \frac{rR}{2} \sin \Theta_2 (\cos \Theta_2 - \cos \gamma);$$

ნახევარსეგმენტის ფართი, ცნობილი ფორმულის მიხედვით, იქნება:

$$F_{CEL} = \frac{r^2}{4} \left(\frac{2\pi \Theta_2}{180} - \sin 2\Theta_2 \right);$$

სქემიდან (ნახ. 2—გ.)

$$\sin \Theta_2 = \frac{R \sin \gamma}{r+R}; \quad (5^1)$$

მაშინ

$$F_{CC'L} = \frac{rR^2 \sin \gamma}{2(r+R)} \left(\cos \arcsin \frac{R \sin \gamma}{r+R} - \cos \gamma \right);$$

$$F_{CEL} = \frac{r^2}{4} \left(\frac{\pi 2 \arcsin \frac{R \sin \gamma}{r+R}}{180} - \sin 2 \arcsin \frac{R \cdot \sin \gamma}{r+R} \right) \quad (5)$$

ჩაესვათ მიღებული მნიშვნელობები (5) ფორმულაში და მიღიღებთ:



$$F_2 = \frac{rR^2 \sin \gamma}{2(r+R)} \left(\cos \arcsin \frac{R \sin \gamma}{r+R} - \cos \gamma \right) -$$

$$- \frac{r^2}{4} \left(\frac{\pi 2 \arcsin \frac{R \sin \gamma}{r+R}}{180} - \sin 2 \arcsin \frac{R \sin \gamma}{r+R} \right)$$

თბილისის
უნივერსიტეტი
(7)

მიღებული მნიშვნელობები ჩავსვათ (2) ფორმულაში, რის შედეგადაც მივიღებთ ხის ძირის ირგვლივ ნიადაგის პრინციპულად შესაძლოა შელი დამუშავების ფართის მნიშვნელობას, რომელიც იქნება:

$$F_{3,2} = \frac{r^2}{2} \left[\frac{\cos^2 \gamma}{\tg \gamma} - \frac{\pi(90^\circ - \gamma)}{180} + \frac{\sin^2 \gamma}{2} \right] + \frac{\pi r^2}{2} +$$

$$\frac{rR^2 \sin \gamma}{2(r+R)} \left(\cos \arcsin \frac{R \sin \gamma}{r+R} - \cos \gamma \right) - \frac{r^2}{4} \left(\frac{\pi 2 \arcsin \frac{R \sin \gamma}{r+R}}{180} - \right. \\ \left. - \sin 2 \arcsin \frac{R \sin \gamma}{r+R} \right);$$

ვარდაქმნების შემდეგ გვაქნება ხისძირა დაუმუშავებელი ფართის ნახევრის მნიშვნელობა:

$$F_{3,3} = \frac{r^2}{2} \left[\frac{\cos^2 \gamma}{\tg \gamma} - \frac{\pi(90^\circ - \gamma)}{180} + \frac{\sin^2 \gamma}{2} + \pi + \right. \\ + \frac{R^2}{2r(r+R)} \sin \gamma \left(\cos \arcsin \frac{R \sin \gamma}{r+R} - \cos \gamma \right) - \\ \left. - \frac{\pi \arcsin \frac{R \sin \gamma}{r+R}}{180} + \sin 2 \arcsin \frac{R \sin \gamma}{r+R} \right];$$

ამ ფართის მნიშვნელობა მიღებულია ტექნიკური საშუალებების (თათის და მისი მართვის მექანიზმის) თეორიულად შესაძლებელი მოქმედების გეომეტრიული გამოსახულების საფუძველზე. იგი მინიმალური სიდიდისაა და მასთან შევიძლია შევადაროთ ფაქტიურად დატოვებული ფართი, რომელსაც უფრო მეტი სილიდე იქვე. ამ შედარების, ანუ შეფარდების მიხედვით შევიძლია შევაფასოთ მოსაბრუნვით თათის ან სხვა სახის სამუშაო თარგანოს მუშაობა და მისი სრულყოფა.

აღვნიშნოთ ფაქტიურად დამუშავებული ფართის სიღიდე F_3 მაშინ პრინციპულად შესაძლებელი დამუშავების ფართის სიღიდეს თუ შევადა-

რებთ მას, მივიღებთ მოსაპრუნი სამუშაო ორგანოს, მთხოვთ მარკვეს ქანიზმისა და სამუშაო რეჟიმის სრულყოფის მაჩვენებელს.

ეროვნული
ბიბლიოთის
მუზეუმის

$$K = \frac{F_0}{F_{\text{ა.}}}$$

იდეალურ შემთხვევაში $K=1$, ხოლო როდესაც $K<1$, ადგილი აქვს იდეალური დაცვის წრიული ზოლის დამუშავებას, რაც აგროტექნიკური მოთხოვნის დარღვევას ნიშნავს.

პრაქტიკულად $K>1$, რადგანაც ფაქტურად თათის ბოლო წერტილის დაბრუნება წრიდან (წერტილი C-დან) X—X ხაზზე (ნახ. 2—ა, D) ხდება არა ნულოვან დროში, არამედ დროის რალაც მონაცემთში. რაც მეტია ეს დრო, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, რაღაც CC' იქნება ციკლოიდა ან სხვა გაჭიმული რაიმე მრუდი და მის ქვეშ მოყოლილი დაუმუშავებელი ფართობიც და მაჩვენებელი K-ც იქნება ერთზე უფრო მეტი.

ზემოთ აღნიშნული თეორიული მოსაზრებების შემოწმების მიზნით, ჩატარებული იყო ცდები ასიმეტრიულ გამაფხვიერებელზე დაყენებული მოსაპრუნი თათით.

ნისძირა დაცვის წრედის ფორმირების შესასწავლად გამოყენებული იყო ჩქაროსნული კინოგადაღება. რომლის მეთოდიკაც მდგომარეობდა შემდეგში:

ნის ძირის მავიერ დაყენებული იქნა სარი, რომელზედაც გამა-ფხვიერებელის მოძრაობის დროს ეგზინებოდა მოსაპრუნი თათის აეტო-მატური მექანიზმის ჩართვის ცეცი (ბერკეტი). ცეცის იმპულსი გადაეცე-მოდა ველის თვალის ავტომატს, რომელიც ხრუტუნა მექანიზმით ჩარ-თვდა გარტუტას. გარტუტას თითზე მოდებული ბავირი კი მოაპრუნე-ბდა თათს. სარის ზემოდან კოშურაზე ჩაყენებული ჩქაროსნული კინ-აპარატი ასახავდა თათის შემოპრუნების და ნისძირა დაცვის წრედის წა-რმოქმნას, თათის ბოლოზე დაშული ნათელი წერტილის დახმარებით, სხვადასხვა ფირების თანმიმდევრობით დამთხვევის მეთოდით მიღებულ იქნა მისი ტრაექტორიები. ამ ტრაექტორიებსა და გრძივ ლერძს შორის ფართი აღრიცხულ იქნა პლანიმეტრით ელემენტების მიხედვით. ამისათ-ვის საჭირო მასშტაბში (1 : 20), იხაზებოდა ნისძირა დაცვის წრე (F₀), რომლის მარჯვნივ და მარცხნივ აითვლებოდა F₁ და F₂.

უველაზე უფრო დამახასიათებელი წრედისათვის (ნახ. 2—ბ) ცდების შედეგებით მიღებულ იქნა: F₁=40 მმ²; F₀=628 მმ²; F₂=428 მმ²; ამ ელემენტების შეკრებით ფაქტურმა ფართმა შეადგინა:

$$F_0 = 40 + 608 + 428 = 1096 \text{ მმ}^2;$$

იმავე მასშტაბში ჩატარებულ იქნა ელემენტური ფართვების როლი განვარიშება შემდეგი პარამეტრების მიხედვით: $r=400 \text{ mm}$, $R=800 \text{ mm}$; $\gamma = 55^\circ$.

ერთოველი

ამ მნიშვნელობების ჩასმით (4) ფორმულაში, მიღებულ იჭირდება მასშტაბი

$$F_1 = \frac{20^2}{2} \left[\frac{\cos^2 55^\circ}{\operatorname{tg} 55^\circ} - \frac{3,14(90^\circ - 55^\circ)}{180} + \frac{\sin 2 \cdot 55^\circ}{2} \right] = 16;$$

$$F_1 = 16 \text{ mm}^2$$

(1) ფორმულაში მნიშვნელობების ჩასმით მივიღეთ:

$$F_0 = \frac{3,14 \cdot 2 \cdot 2}{2} = 628; \quad F_0 = 628 \text{ mm}^2,$$

(7) ფორმულაში მნიშვნელობების ჩასმით მივიღეთ:

$$F_2 = \frac{20 \cdot 40^2 \cdot \sin 55^\circ}{2(20+40)} \left(\cos \arcsin \frac{40 \cdot \sin 55^\circ}{20+40} - \cos 55^\circ \right) - \\ - \frac{20^2}{4} \left(\frac{3,14 \cdot 2 \cdot \arcsin \frac{20+40}{180}}{180} - \sin 2 \arcsin \frac{40 \cdot \sin 55^\circ}{20+40} \right);$$

$$F_2 = 36 \text{ mm}^2.$$

პრინციპულად შესაძლებელი დამუშავების ფართმა (2) ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით შეადგინა:

$$F_{\text{ჯ.3.}} = 16 + 628 + 36 = 680 \text{ mm}^2;$$


ამ მონაცემების მიხედვით სამუშაო რეკიმის სრულყოფის მაჩვენებელი (8) ფორმულის შესაბამისად

$$K = \frac{1096}{680} = 1,61;$$

როგორც ეხედავთ, ფაქტიურად მიღებული დაცვის წრედის ფართი აღემატება პრინციპულად შესაძლებელ ფართს 1,61-ჯერ. რაც იმაზე მიუჰითობს, რომ თათის ბოლო წერტილის დაცვის ზოლში შესვლის ტრანსტრინია გაუმტულა ციცლოიდური მრუდის სახით.

მრუდის ხასიათი დამოკიდებულია მოსაბრუნი თათის სამუშაო, ანუ პინემატიკურ რეკიმზე, ე. ი. მოსაბრუნი თათის ბოლო წერტილისა და აგრეგატის სიჩქარეების ან გავლილი მანძილების შეფარდებაზე. ეს

შეფარდება, გამოიხატება, ასიმეტრიული გამაცხელებლის შემთხვევაში, ველის თვლილან მოსაბრუნ თათხე მოძრაობის გადაცემის რიცხვში, რომელიც პრაქტიკულად კონსტრუქციული მაჩვენებელის შეაღებს (ნახ. 3):



$$i = 1 - \frac{r}{R_1} \cdot i_1 \cdot i_2 = (1 - \frac{250}{126}) \cdot \frac{r}{R_1} + \frac{R}{r};$$

$$i = 1 - \frac{125}{325} \cdot \frac{800}{250} = 1.11; \quad i = 1.11;$$

სადაც, რ არის თვლის მრულებარას რადიუსი ($r=126$ მმ); R_1 —თვლის რადიუსი ($R_1=325$ მმ); r —თათის მჭრეულას რადიუსი ($r=250$ მმ); R —თათის მჭრელი პირის სიგრძე ($R=800$ მ); გამოიყენეთ განვლილი მანძილი $S_0=(6_0-7_0)$ სემის მიხედვით იქნება:

$$S_0 = \frac{S'}{i} = \frac{15}{1.11} = 13.6 \approx 14; \quad S_0 = 14 \text{ მმ};$$

სადაც S' არის თათის ბოლო წერტილის მიერ შემოწერილი რეალის კორდას სიგრძე ($CC'=15$ მმ);

ამ მრუდის გამოკვლევისათვის მივმართოთ მისი აგების გრაფიკულ მეთოდს, რომელიც კვლევის ანალიზურ მეთოდთან შედარებით უფრო მარტივი და თვალსაჩინოა.

სქემაზე (ნახ. 2-ა) ნო წერტილიდან, X_0-X_1 ღერძზე, გადავზომავთ S_0 მანძილს და ვპოულობთ 7_0 წერტილს. ამ წერტილიდან ვავლებთ მჭრელი პირის ხაზს 7_0-7 , რომელიც 7 კუთხით უნდა იქნეს განხრილი გრძივი X_0-X_1 ხაზიდან.

6_0-6 და 7_0-7 წრფეებზე გადავზომავთ თანაბარ I მონაკვეთებს, რომელთა ბოლოებზე ვატარებთ VI—VII წრფეს.

6_0-7_0 და VI—VII მონაკვეთებს ვყოფთ თანაბარი რაოდენობის ნაწილებად, რომლებზედაც ვატარებთ მჭრელი პირის ხაზებს გარდამავალ.

პოზიციებშე. ამ ხაზებზე 60—70-დან გადავჭიმავთ მკრელი პირის სიტყვებს. მიღებულ ბოლო წერტილებს ვართებთ მრუდით CD. რომელიც წარმოადგენს თაოთის ბოლო წერტილის გადაადგილების კონკრეტული კონკრეტულად დასახული სამუშაო რეემისათვის.

ამ მრუდის ქვეშ მოთავსებული ფართის ($F_2 = F_{CED}$) სააგარიშოდ მივიღოთ CD რკალი, როგორც მისი ქორდა (ნახ. 2—3), მაშინ CLD სწორკუთხოვანი სამკუთხედიდან აღნიშნული ფართი წარმოადგენს სამკუთხედის ფართისა და CEL ნახევარსეგმენტის ფართის სხვაობას, ანუ

$$F_2 = F_{CED} = F_{CLD} - F_{CEL} \quad (9)$$

სამკუთხედის ფართი იანგარიშება ფორმულით:

$$F_{CLD} = \frac{|CL| \cdot |LD|}{2} = \frac{r \sin \theta_2 (R \cos \theta_2 - R \cos \gamma + S_0)}{2};$$

საიდანაც

$$F_{CEL} = \frac{r}{2} R \sin \theta_2 \left(\cos \theta_2 - \cos \gamma + \frac{S_0}{R} \right).$$

ჩავსვათ Q₂-ს და S_{in} Q₂-ს მნიშვნელობა (5') ფორმულიდან და F_{GEL} -ის მნიშვნელობა (6) ფორმულიდან (9) ფორმულაში, მაშინ

$$\begin{aligned} F_2 &= \frac{r \cdot R^2}{2(r+R)} \sin \gamma \left[\cos \arcsin \frac{R \sin \gamma}{r+R} - \cos \gamma + \frac{S_0}{R} \right] - \\ &- \frac{r^2}{4} \left(\frac{\pi 2 \arcsin \frac{R \sin \gamma}{r+R}}{280} - \sin 2 \arcsin \frac{R \sin \gamma}{r+R} \right) \end{aligned} \quad (10)$$

ჩავსვათ (10) ფორმულაში ზემოთ მიღებული პარამეტრები:

$$\begin{aligned} F_2 &= -\frac{20 \cdot 40^2}{2(20+40)} \sin 55^\circ \left(\cos \arcsin \frac{40 \sin 55^\circ}{20+40} - \cos 55^\circ + \frac{14}{40} \right) - \\ &- \frac{20^2}{4} \left(\frac{3,14 \cdot 2 \cdot \arcsin \frac{40 \cdot \sin 55^\circ}{20+40}}{180} - \sin 2 \arcsin \frac{40 \cdot \sin 55^\circ}{20+40} \right) = 117; \end{aligned}$$

$$F_2 = 117 \text{ მმ}^2.$$

მიღებულ F_2 -ს მნიშვნელობის და აღრინდელი F_1 და F_0 მნიშვნელობების

ჩისმით (2) ფორმულაში მივიღებთ ხისძირა წრედის ტენიცურაზე შესაძლებელ F_0 ფართს

$$F_0 = 16 + 628 + 117 = 761; \quad F_0 = 117 \text{ მმ}^2; \quad \text{პიპლირიცია}$$

ამ ფართს თუ შევუფარდებოთ ფაქტიურ ($F_{\text{ფ}}$) ფართს, მივიღებთ სამუშაო რეკიმის სრულყოფის მაჩვენებლის ახალ მნიშვნელობას

$$K = -\frac{F_{\text{ფ}}}{F_0} = \frac{1096}{761} = 1,44; \quad K = 1,44.$$

როგორც ვხედავთ, სამუშაო რეკიმის სრულყოფის მაჩვენებელზე მოქმედებს არა მარტო სამუშაო ორგანოს განლაგების გეომეტრიული და მისი გადაადგილების კინემატიკური ხასიათის ფაქტორები, არამედ სხვა ფაქტორებიც. რომლებიც შეიძლება გამოწვეული იქნეს მოსაბრუნი თათის ავტომატურად მმართველი მოწყობილობის არასრულყოფილი მოქმედებით (ფოლხვები მექანიზმში, ამძრავი თვალის ბუქსაობა და სხვ.).

ამ თვალსაზრისით უპირატესობა უნდა მიეცეს პიდრავლიკურ მართვის, რომლის მოქმედებაც არ მოითხოვს ამძრავი თვალის ნიადაგთან საიმედო ჩაჭიდებას. ამასთან ერთად, პიდრავლიკურ სისტემას შეუძლია განავითაროს თათის შემობრუნების მაღალი სიჩქარეები, რაც კიდევ უფრო შეამოკლებს ციკლოიდურ მრუდს, ანუ ხისძირა დაცვის წრედში ნიადაგის დაუმუშავებელ ფართს.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАКА АCADEMIIA
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА. № 6 (128) 1982

УДК 631 .3

ლ. კოჩაშვილი

ჩახალევის სახელი სახელი რჩხანის ლაპონიაზე კვლევის
შედეგები

ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და სასოფლო-სამეცნიერო
კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის გატარებულ ლონისძიე-
ბათა კომპლექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღვილი უკავია ნიადაგის
დამუშავებისათვის სწორი იგროტექნიკური ლონისძიებების შერჩევას.

განსაკუთრებით იზრდება ნიადაგის მექანიკური დამუშავების სწო-
რი იგროტექნიკური სისტემის შერჩევის მნიშვნელობა ისეთი ნიადაგების
დამუშავებისათვის როგორიცაა: მთის ფერდობები, ნაწვერალი, დამლა-
შებული ნიადაგები და სხვა, რომელთა დამუშავება ფრთიანი სამუშაო
ორგანოებით (ბელტის გადაბრუნებით), არ არის მიზანშეწონილი და ხა-
სიათლება რიგი ტექნოლოგიური და დინამიკური ნაკლოვანებებით.

გარდა ამისა, მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის კომპ-
ლექსური მექანიზაციისა და თანამედროვე დიდი წონის სასოფლო-სა-
ნეურონ მახქანებისა და ტრაქტორების ნაკვეთზე მრავალჯერადი გაულის
გამო მნიშვნელოვნად უარესდება ნიადაგის სტრუქტურა, რაც უარყო-
ფით გავლენას ახდენს კულტურული მცენარის ზრდა-განვითარებაზე და
ამცირებს მოსავლიანობას. ჩიტარებული გამოკვლევებით დადგენილია,
რომ ზემოთ ღლის მნიშვნით ხორბლის მოსავლიანობა მცირდება
10%-ით, შაქრის ჭარბლისა—15%, სიმინდის—8%-ით, კარტოფილისა—
50%-ით [1].

ამის გამო, უკანასკნელ წლებში, როგორც საბჭოთა კავშირში,
ისე სხვა ქვეყნებში (აშშ, კანადა, ინგლისი, გდრ, უნგრეთი, ჩეხოსლოვა-
კია და სხვ.) დღის წესრიგში დადგა ნიადაგის დამუშავების მინიმალიზა-
ციის საკითხი. ნიადაგის დამუშავების მინიმალიზაციის საკითხის არსი
მდგომარეობს იმაში, რომ შევამციროთ ჩასატარებელ ოპერაციათა რაო-
დენობა ან მოვახდინოთ რამდენიმე იპერაციის შეთავსება ერთი მანქანის
კონსტრუქციაში ავტოგრატის ერთ გავლასთან, ან ზოგ შემთხვევაში საერ-
4. შრომები, № 6 (128), 1982.

თოდ უარევყოთ ნიადაგის დამუშავებისა და თესვისათვის მომზადების ზოგიერთი ტრადიციული ოპერაცია ე. ი. ზოგ შემთხვევაში გამოიყენოთ ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიური კურსული ტექნიკა „ნულოვანი დამუშავება“. ამ მიზნით დიდი მოცულობის გრაფიკული მდინარეობს მოელს მსოფლიოში, კერძოდ:

1. მიმდინარეობს სამუშაოები იმ მიმართულებით, რომ შემცირდეს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხვედრითი დაწოლა ნიადაგზე;

2. იქნება კომბინირებული აგრეგატები, რომლებიც ერთდროულად, ერთი გავლით ასრულებს რამდენიმე ოპერაციას, რითაც მცირდება ნაკვეთზე აგრეგატების გავლათა რაოდენობა, მცირდება ღროის დანაკარგები უქმ სვლასა და მობრუნებაზე, ისრდება შრომის ნაყოფიერება, მცირდება ფულადი და შრომითი დანახარჯები; მოკლე აგროტექნიკურ დროში სრულდება სამუშაო, უმჯობესდება ნიადაგის სტრუქტურა; კომბინირებული მანქანებით დამუშავებისას ისრდება ნიადაგის მდგრადობა ეროვნული მოვლენებისადმი და სხვა.


მძლავრი კომბინირებული მანქანების შექმნა შიზანშეწონილია იმ რვალსაშირისთაც, რომ ამჟამად არსებული მძლავრი ტრაქტორების ნორმალური დატვირთვა შეუძლებელია არსებული მცირე მოდების განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო მანქანებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში სამარცვლე და სასილოსე სიმინდის მოვლა-მოყვანისათვის ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის გამოყენება და ამ ტექნოლოგიური პროცესის შესასრულებლად კომბინირებული მანქანის შექმნის საკითხი მეტად აქტუალურია.

ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველოში სიმინდის კულტურას საკმარისად დიდი ფართობი უკავია როგორც სამარცვლედ, ისე სასილოსედ, ამიტომ ნიადაგის ძირითადი და თესვის ოპერაციების შეთავსებას ერთი მანქანის ფუნქციებში და მათ შესრულებას ავტოგატის ერთი გავლით, მეტად დიდი შინიშვნელობა ენიჭება. ამ მიზნით, 1964—68 წლებში კ. მ. ამირავიძის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კლევით ინსტიტუტში პროფ. მ. გუგუშვილის ხელმძღვანელობით და ჩვენი უშუალო მონაწილეობით, შეიქმნა ნიადაგის მინიმალური დამუშავების კომბინირებული მანქანა. რომელიც მუშაობდა ტექნოლოგიური პროცესით „დამუშავება—თესვა“, რაც ითვალისწინებდა მზრალის, ნაწვერალისა და დამლაშებული ნიადაგების ძირითად დამუშავებას; ნიადაგის გარკვეული ზოლის მომზადებას თესვისათვის და სიმინდის თესვას მშერივში პუნქტორულად—აგრეგატის ერთი გავლით. აღნიშნული კომბინირებული მანქანის ძირითად სამუშაო ორგანოებს წარმოადგენს ნიადაგის ღრმად (18—22 სმ) გამაფხვერებელი სამუშაო ორგანოების

ბრტყლადმკრელი სამუშაო ორგანოები და სიმინდის სათესი გები [2].

კომპინირებული მანქანის ენერგეტიკული მაჩვენებლების დადგენის მიზნით, ჩვენ მიერ ლაბორატორიულ პირობებში, ნიადაგმა და მანქანის მიმართ მექანიკურ არხზე, ჩატარდა ლრმად გამაფხვიერებელი საჭრის სამუშაო ებას გამოკვლევა და მიღებული შედეგები მოყვანილია ქვემოთ.



ნახ. 1

ლაბორატორიულ პირობებში ჩვენ მიერ გამოკვლეული გამაფხვიერებელი სამუშაო ორგანო შედგება საბრუნი ტიპის თათისაგან РО—2—60 გოსტ—1343—59 (ნახ. 1) და დგარისაგან (ნახ. 2), რომელიც შერჩეულია იმავე გოსტ-ით.

საბრუნი ტიპის გამაფხვიერებელი თათის (ნახ. 1) ძირითადი პარამეტრები მოცემულია 1-ელ ცხრილში.



ცხრილი 1

| b | ზომები მმ-შ | | | | | | | კვანძე 2γ გრად. მგ-ში | რომელ მანქანაში გამოიყენება (კულტივატორების მარტ) |
|----|-------------|-------|-----|-----------|-------|----|----|--------------------------------|--|
| | S | H | R | A ±0,8 | a | m | r | | |
| 60 | 10 | 260—5 | 227 | 50 | 14×14 | 10 | 20 | 70 | 1.12 КРН—2,5; КРН—2,5; КРН—3; КРН—3,5; КРН—0,3Б |

გამაფენერებელი დგარის (ნახ. 2) ძირითადი პარამეტრები შემდეგია მე-2 ცხრილში.



| სამუშაო ორგანოს ტაბი | ზომები ვ.3 | | | | | რომელ მანქანაზე გამოიყენება (კულტურული მარკა) |
|----------------------|------------|-----|-----|----|----|---|
| | H | L | R | a | b | |
| გამაფენერებელი ლგ.რი | 600 | 250 | 225 | 30 | 60 | KPH-3 |



ნახ. 2


ლაბორატორიული გამოცდის შედეგად დადგენილ იქნა წევის წინამდების ცენტრულ და დამუშავების სილრმის ცვალება-დობის მიხედვით. ცდა ჩატარდა სამმაგი განმეორებით, მუჭუმუში ცრისტალის დროს, და მათი საშუალო მონაცემები მოტანილია შემდეგი გრაფიკზე:

ცხრილი 3

| საშუალო ორგანოს დასხელება | დამუშავების სილრმის ამო ა სტ რეაცია P კგ | სიმძრავის მინიმუმი V კმ/სთ | ნიაღავის სიმძრავი $A\%/\%$ | ნიაღავის საშუალო სიმძროვე ზ კგს/მ² | საშუალო ორგანოს კონსტრუქ- ციული სიგანე ზ მმ |
|---------------------------------|--|------------------------------------|----------------------------------|---|---|
| გამოუხერხებელი | 10 15 20 | 65 150 172 | 3,6 14,2 | 20,3 | 60 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, წევის წინამობის ძალის სიდიდე იცვლება 65—172 კგის ზღვრებში, რაც დამოკიდებულია ნიაღავის ფიზიკურ-მექანიკურ მდგომარეობაზე და საშუალო ორგანოს ნიაღავში ჩაღრმავი ბის სიდიდეზე.

ცხრილის მონაცემები გრაფიკულია ნახაზზე (ნახ. 3).



ნახ. 3

როგორც გრაფიკიდან ჩანს, გამაფხვიერებლის სკლის სილრმის ცვალება-დობასთან დამოკიდებულებით, წევის წინამობის ძალის სიდიდე იცვლება, პარაბოლისებრი მრუდის კანონით.

გამაფხვიერებელი სამუშაო ორგანოს გამოცდის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, საჭირო წევის მაღალა და სამუშაო ორგანოს ნიადაგში სელის სილრმის სიღილეს შეუქმნა და დამოკიდებულების დამყარებისათვის ცდის მონაცემებზე და მოვახდინეთ წერტილების შერჩევის მეთოდით [3].

ამ მეთოდის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: მე-3 ცხრილის მიხედვით კოორდინატთა ბადეზე აღვნიშნავთ ექსპერიმენტული კვლევის შედეგებს, ე. ი. $X_1 = 10$, $Y_1 = 65$; $X_2 = 15$; $Y_2 = 150$; და $X_3 = 20$, $Y_3 = 172$. ვაერთებთ ამ წერტილებს (ნახ. 3) და ვირჩევთ ემპირიული დამოკიდებულების სახეს (ფორმულას). როგორც ეხედავთ, მიღებულ მრუდს აქვს პარაბოლის მსგავსი მრუდის სახე. ამიტომ ამ მონაცემების ემპირიული დამოკიდებულება ზოგადი სახით გამოისახება შემდეგნაირად:

$$y = ax^2 + bx + c \quad (1)$$

ა, ბ და ც-ს მნიშვნელობების განსაზღვრისათვის შერჩეულ მრუდზე ვიღებთ იმდენ წერტილს, რამდენი კოეფიციენტი და მუდმივი წევრია განტოლებაში და ვწერთ მრუდის განტოლებებს ამ წერტილებისათვის. მივიღებთ:

$$\begin{aligned} y_1 &= ax_1^2 + bx_1 + c; \\ y_2 &= ax_2^2 + bx_2 + c; \\ y_3 &= ax_3^2 + bx_3 + c, \end{aligned} \quad (2)$$

სადაც: $(Y_1 X_1)$, $(Y_2 X_2)$ და $(X_3 Y_3)$ — შერჩეული მრუდის სამი წერტილის კოორდინატთა მნიშვნელობებია. აქედან ნათლად ჩანს, რომ კოეფიციენტები და მუდმივი წევრები ერთნაირია უკელვან, ხოლო კოორდინატთა მნიშვნელობა (სხვადასხვა წერტილისათვის) სრვადასხვაა. მაშასადამე, ჩვენ მივიღეთ იმდენი განტოლება, რამდენი უცნობიც გვაქვს. აქ უცნობებია კოეფიციენტები და მუდმივი წევრები. მიღებული განტოლებები (2) ამოვხსნათ ა, ბ და ც-ს მიმართ, მივიღებთ მათ რიცხვებს მნიშვნელობას, ე. ი. განტოლებები (2) მიღებს ასეთ სახეს:

$$65 = 10^2 a + 10b + c;$$

$$150 = 15^2 a + 15b + c,$$

$$172 = 20^2 a + 20b + c,$$

$$100a + 10b + c = 65;$$

$$225a + 15b + c = 150;$$

$$400a + 20b + c = 172.$$

ანუ

а, б и с-с მნიშვნელობების ამოხსნით და ამ მნიშვნელობების მის-
მით, (1) განტოლებაში, მივიღებთ გამაფხვიერებლისათვის საძეგვო
მრუდის განტოლებას საბოლოო სახით:

ერთვეული
ბებულობები

$$Y = -1,26X^2 + 48,5X - 294$$

ამ განტოლებაში X არის სამუშაო ორგანოს ნიადაგში ჩაღრმავების
სიდიდე სმ-ში, ხოლო Y არის საჭირო წევის წინაღობის ძალა კგ-ში.

ეს ფორმულა საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ ემპირიული დამო-
კიდებულება გამაფხვიერებელი სამუშაო ორგანოს ნებისმიერი სიდი-
დის სცლის (დამუშავების) სილრმება და საჭირო წევის წინაღობის ძა-
ლას შორის.

ლიტერატურა — Литература

1. Г. Д. Белов, В. А. Жиличенко. Техника и плодородие. Минск, «Ураджай», 1978.
2. П. М. Василенко. Элементы методики математической обработки результатов экспериментальных исследований. М., 1958.
3. ლ. ქერტუთევი. ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნიკო-
გიური პროცესის კვლევის ზოგიერთი შედეგები. ავტორეფერა-
ტი ტ. მ. კ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1970.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА. № 6 (128) 1982

УДК 631 . 37

მ. ჯარიავა

ამ გარემოს მიწოდის სტატიის შეკვეთის დასაცავის დაზღვეა

ცნობილია, რომ მობილური აგრეგატის მწარმოებლობა ვანისაზღვ-
რება ფორმულით:

$$W_{\text{დ}} = 0.36 B_j V_0 T_{\text{დ}} \beta \xi \quad \text{მ/ც.} \quad (1)$$

სადაც B_j არის აგრეგატის კონსტრუქციული მოდების ვანი, მ-ით;

V_0 — აგრეგატის მოძრაობის თეორიული სიჩქარე, მ/წ-ით;

$T_{\text{დ}}$ — ცვლის დროა, სთ-ით; $\beta \cdot \xi$ და τ შესაბამისად კოეფი-
ციენტებია, რომლებიც ახასიათებს მოდების ვანის, სიჩქარისა და
ცვლის დროს გამოყენების ხარისხს.

აღნიშნული მ. გ. და τ კოეფიციენტები თავის მხრივ დამოკიდე-
ბულია აგრეგტის მოძრაობის სწორხაზოვნობაზე, სამუშაო ორგანოების
მიერ მოდების ვანის გადაფარვაზე, ტრაქტორისტ-მემანქანის კალიფი-
კაციაზე, რელიეფზე, საქცევის სიგრძეზე, ნიადაგის სამეურნეო მდგო-
მარეობაზე და სხვ. ცხადია, აღნიშნული კოეფიციენტების ცვლილება
აგრეგატის მუშაობის პროცესში მნიშვნელოვან გაცლენას ახდენს აგრეგა-
ტის მწარმოებლობაზე, ამიტომ (1) ფორმულა, სადაც ეს სიდიდეები მო-
ცემულია დეტერმინირებული სახით, ვერ ასახავს აგრეგატის მუშაობის
რეალურ სურათს.

განვიხილოთ აგრეგატის მწარმოებლობა, როგორც ნორმალურად ვა
ნაწილებული შემთხვევითი სიდიდეების — $B=B_j \beta$, $V=V_0 \xi$ და $T=T_{\text{დ}}$. ა-
ნამრავლის სახით, გავითვალისწინოთ, რომ B -სა და V -ს შორის არსე-
ბობს კორელაციური კავშირი, ამიტომ (B, V, T) სისტემის განაწილების
სიმკერივე:

$$f(B, V, T) = f_1(B, V) + f_2(T), \quad (2)$$

სადაც ნორმალური განაწილების კანონით ვლებულობთ:

$$f_1(B, V) = \frac{1}{2\pi \sigma_B} \sqrt{\frac{1}{1-r^2}} \cdot L^{-L}, \quad (3)$$

$$L = \frac{1}{2(1-r^2)} \left[\frac{(B-\bar{B})^2}{\sigma_B^2} - \frac{2r(B-\bar{B})(V-\bar{V})}{\sigma_B \cdot \sigma_V} + \frac{(V-\bar{V})^2}{\sigma_V^2} \right] \quad (4)$$

სადაც

ტერმინები
გვიპლირისაა

$$f_2(T) = \frac{1}{V^2 \pi \sigma_T^2} L \frac{-\frac{1}{2}(T-\bar{T})}{\sigma_T^2}, \quad (5)$$

სადაც B, \bar{B} , σ_B ; V, \bar{V} , σ_V ; T, \bar{T} , τ შესაბამისად სამუშაო მოდების განის, სამუშაო სიჩქარისა და სამუშაო დროის მიმდინარე საშუალო არითმეტიკულისა და სტანდარტული გადახრის მნიშვნელობებია.

$r = \frac{k_{BV}}{\sigma_B \sigma_V}$ — კორელაციის კოეფიციენტია.

k_{BV} — შემთხვევითი სიღილეების კორელაციური მომენტებია.

როგორც ალბათობის თეორიიდან არის ცნობილი, მათემატიკური ლოდინი:

$$\begin{aligned} M[BVT] &= M[BV] \cdot M[T] = (M[B] \cdot M[V] + k_{BV}) \cdot M[T] = \\ &= \bar{B} \bar{V} T + k_{BV} \cdot \bar{T} \end{aligned} \quad (6)$$

დისპერსიის განსასაზღვრავად ვისარგებლოთ ალბათობის თეორიიდან ცნობილი ფორმულით

$$D[X] = M[X^2] - M^2[X], \quad (7)$$

მაშინ

$$\begin{aligned} D[BVT] &= M[B^2 V^2 T^2] - M^2[BVT] = M[T^2] \cdot M[B^2 V^2] - M^2[BVT] = \\ &= (D[T] + M^2[T])(D[BV] + M^2[BV]) - M^2[BVT] \end{aligned} \quad (8)$$

მაგრამ ჩადგანაც

$$M^2[BVT] = M^2[BV] \cdot M^2[T], \quad (9)$$

მაშინ

$$\begin{aligned} D[BVT] &= D[T] \cdot D[BV] + M^2[BV] D[T] + M^2[T] \cdot D[BV] = \\ &= (\sigma_T^2 + \bar{T}^2) D[BV] + \sigma_T^2 (\bar{B} \bar{V} + k_{BV})^2 \end{aligned} \quad (10)$$

იშისათვის, რომ განვსაზღვროთ $D[BV]$, ვიპოვოთ $B^2 V^2$ სიღილის მათემატიკური ლოდინი. ვაცით, რომ

$$M[B^2V^2] = \int_{-\infty}^{\infty} \int_{-\infty}^{\infty} B^2 V^2 f_i(B, V) d_B d_V$$

Гарадаўскіх міністэрстваў:

$$M[B^2V^2] = 2r^2 \sigma_B^2 \sigma_V^2 + \sigma_B^2 \sigma_V^2 + 4r \bar{V} \bar{B} \sigma_B \sigma_V + \bar{B}^2 \bar{V}^2 + \\ + \bar{B}^2 \sigma_V^2 + \bar{V}^2 \sigma_V^2, \quad (12)$$

Ажыцьця:

$$D[BV] = (1 + r^2) \sigma_B^2 \sigma_V^2 + 2r \bar{B} \bar{V} \sigma_B \sigma_V \quad (13)$$

Міністэрства, калегі

$$D[BVI] = (\sigma_T^2 + \bar{T}^2) (\sigma_B^2 \sigma_V^2 + k^2_{BV} + 2\bar{B}\bar{V}k_{BV} + \bar{B}^2 \sigma_V^2 + \bar{V}^2 \sigma_B^2) + \\ + \sigma_T^2 (B \bar{V} + k_{BV})^2. \quad (14)$$

Тэорэтыческія дадзеныя з табліцы (1) — (13) заснаваны на агульных дадзеных DT-75 + ПЛН-4-35 із атласа АСТР-1000.

Найбольшую ўспышку атмосферы заснаваны на агульных дадзеных DT-75 + ПЛН-4-35 із атласа АСТР-1000. Агульныя дадзеныя з табліцы (1) — (13) заснаваны на агульных дадзеных DT-75 + ПЛН-4-35 із атласа АСТР-1000.

Найбольшую ўспышку атмосферы заснаваны на агульных дадзеных DT-75 + ПЛН-4-35 із атласа АСТР-1000.

$$\bar{V} = \frac{\sum_{i=1}^{20} V_i}{20} = 1,51 \text{ м/с} \quad \bar{B} = \frac{\sum_{i=1}^{20} B_i}{20} = 1,41 \text{ м}$$

$$\bar{T} = \frac{\sum_{i=1}^{20} T_i}{20} = 5,12 \text{ град.} =$$

$$\sigma_v = \sqrt{\sum_{i=1}^{20} (V_i - M[V])^2} = 0,12 \text{ მ/წ}$$

ს. 2

| | დგრევატის სამუშაო სიჩ- ქარის მიმღინარე მნიშვნე- ლობა V_i მ/წ | სამუშაო მოლების კანის მიმღინარე მნიშვნელობა B_i მ/წ | ც ტ რ ი ლ ი ს დროის გამოცემების კოეფიციენტის მიმღინარე მნიშვნელობა τ_i |
|----|--|---|---|
| 1 | 1,9 | 1,38 | 0,58 |
| 2 | 1,7 | 1,40 | 0,62 |
| 3 | 1,2 | 1,46 | 0,78 |
| 4 | 1,4 | 1,43 | 0,72 |
| 5 | 1,5 | 1,41 | 0,55 |
| 6 | 1,4 | 1,44 | 0,71 |
| 7 | 1,7 | 1,39 | 0,62 |
| 8 | 1,6 | 1,40 | 0,68 |
| 9 | 1,4 | 1,42 | 0,66 |
| 10 | 1,2 | 1,45 | 0,77 |
| 11 | 1,3 | 1,44 | 0,78 |
| 12 | 1,6 | 1,40 | 0,66 |
| 13 | 1,5 | 1,42 | 0,74 |
| 14 | 1,6 | 1,40 | 0,70 |
| 15 | 1,7 | 1,38 | 0,62 |
| 16 | 1,6 | 1,42 | 0,70 |
| 17 | 1,5 | 1,44 | 0,76 |
| 18 | 1,4 | 1,43 | 0,72 |
| 19 | 1,2 | 1,46 | 0,50 |
| 20 | 1,2 | 1,45 | 0,79 |

$$\sigma_B = \sqrt{\sum_{i=1}^{20} (B_i - M[B])^2} = 0,12 \text{ მ.}$$


$$\sigma_T = \sqrt{\sum_{i=1}^{20} (T_i - M[T])^2} = 0,77 \text{ სთ.}$$

კორელაციური მომენტი

$$k_{BV} = \frac{\left(\sum_{i=1}^{20} B_i V_i \right)}{20} - \bar{B} \bar{V} = 0,003 \text{ მ/წ}, \quad (15)$$

სადაც B_i და V_i შესაბამისად მოლების განისა და სიჩქარისა, მიმღინარე მნიშვნელობებია.

სამუშაო დროის დანაკარგების გაუთვალისწინებლად
მწარმოებლობა



ეროვნული
ბიბლიოთეკი
(16)

$$W_{\text{დ}} = 0,36 \cdot 7 / \bar{B} (\bar{\nu} + k_{\text{BV}}) = 5,37 \text{ ჰა/ცვ.}$$

აგრეგატის ცვლის ფაქტიური საშუალო მწარმოებლობა

$$\bar{W}_{\text{დ}} = M[W'_{\text{დ}}] \cdot M[T] = 5,37 \cdot 0,72 = 3,87 \text{ ჰა/ცვ.} \quad (17)$$

$$\sigma_w = \sqrt{D[BVT]} = 0,62 \text{ ჰა/ცვ.}$$

ვარიაციის კოეფიციენტი

$$\gamma = \frac{\sigma_w}{\bar{W}} \cdot 100 = 14,7\%. \quad (18)$$

ვიანგარიშოთ აგრეგატის მწარმოებლობა (1) ფორმულით:

$$W_{\text{დ}} = 0,36 \cdot 1,6 \cdot 0,94 \cdot 1,4 \cdot 1,04 \cdot 7 \cdot 0,75 = 4,14 \text{ ჰა/ცვ} \quad (19)$$

როგორც ხანგრძლივი დაკვირვებები გვიჩვენებენ, ტრაქტორისტ-მემანქანის კვალიფიკაციის, საჭევების სიგრძის, მინდვრის რელიეფისა და სხვა ფაქტორებთან დამოკიდებულებით ცვლის მწარმოებლობა იცვლება 3,14—4,82 ჰა/ცვ საზღვრებში, რაც სავსებით შეესაბამება სტატისტიკური ინალიზის შედეგად მიღებულ მაჩვენებლებს \bar{W} -სა და σ_w -ს როგორც (17) და (19) ფორმულების შედარებამ გვიჩვენა, ჩვენ მიერ, მიღებული შედეგები ადასტურებს ზემოაღნიშნულს.

შიღებული \bar{W} და σ_w შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც ტრაქტორისტ-მემანქანის კომპლექსურად შემაფასებელი კოეფიციენტები, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რამდენად შეუძლია ტრაქტორისტ-მემანქანეს შეუთანაწყოს მაღალ სიჩქარეს მოდების განის სრული გამოყენება. ყველა დანარჩენ თანაბარ პირობებში σ_w -ს მცირე მნიშვნელობა ახასიათებს ტრაქტორისტ-მემანქანის მაღალ კვალიფიკაციას, პირიჭით, σ_w -ს მაღალი მნიშვნელობა მიგვითითებს აგრეგატის მწყობრიდან გამოსვლაშე, დაბალი კვალიფიკაციის ტრაქტორისტ-მემანქანებზე და ღროის სხვა არასამუშაო დანაკარგებზე.

როგორც თეორიული კლევებიდან და მის საფუძველზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებიდან ჩანს, აგრეგატის სამუშაო მოდების განსა და მის სამუშაო სიჩქარეს შორის არსებობს უარყოფითი კორელაციური კავშირი.

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗИМЛЯНИКА
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, № 6 (128) 1982

УДК 631 . 31

ა. მამაძე, გ. ჯავახიშვილი

მთიან სამოცავი თავთავიანი გარევლებული კალიჩების აღვანის
აროპენის გათოვანისა და გვარისაცის
საჭარალოების დამართვა

მარცვლის დანაკარგებთან ბრძოლის ღონისძიების ეფექტურობა და
აღების ხარისხიანობა ბევრადა დამოკიდებული აღების ტექნოლოგიის
სრულყოფაზე, რომელსაც განსაზღვრავს ბუნებრივ-კლიმატური პირო-
ბები, მანქანათა კომპლექსის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები,
შრომის ორგანიზაციის დონე და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები.

დღეისათვის დამკვიდრებული, კომბაინებით მარცვლეულის აღების
ტექნოლოგია ითვალისწინებს მხოლოდ მარცვლის აღებას. ჩალასა და
ბზეს კი ტოვებს მინდორში. მოსავლის ეს ნაწილი კი არანაკლებ მნიშვ-
ნელოვანია და უცილებელია აღებული იქნეს მარცვლის აღებასთან ერ-
თად, რათა მინდორი განთავისუფლდეს ნიაღავის მოძღვენი სამუშაოე-
ბის დაუყოვნებლივ განხორციელების მიზნით. თანამედროვე კომბაინე-
ბით მარცვლეულის აღების ყველაზე სუსტი უბანი სწორედ ისაა, რომ
მინდორში ჩჩება ჩალა და ბზე, რომელთა აღებაზე შემდეგ იხარჯება 2—
2,5-ჯერ მეტი ენერგია მარცვლის აღებასთან შედარებით; ამავე დროს
იკარგება ჩალის 30—35 %. ბზე კი მთლიანად რჩება მინდორში.

ბზე თავისი კვებითი ღირებულებით თითქმის ორჯერ აღემატება
ჩალას და ეს ძვირფასი საკვები პროცესტი იბნევა მინდორში. ბზის გა-
მოსავალი, წონითი რაოდენობით, მარცვლის მესამედს შეადგენს და ერ-
თი ჰექტარიდან შეიძლება მიეიღოთ 3—10 ცენტნერი.

გარდა ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, თანამედროვე კომბაი-
ნებით მარცვლეულის აღების პროცესში მინდორში მიმოიბნევა სარევე-
ლების თესლების დიდი რაოდენობა (ჰექტარზე 26—34 კგ), რის გამო
სარეველებთან ბრძოლის ღონისძიებების გატარებაა უცილებელი. ხში-
რად კი ეს ღონისძიებები შედევს არ იძლევა და სარეველების გავრცელე-
ბა წლითი-წლობით მატულობს.

მთიან პირობებში, ფერდობებზე კომბაინების მუშაობისას, ამაზე-
ბით იხილება ენერგიისა და საწვევის დიდი რაოდენობა. რაც მეტად
ზრდის მარცვლის თვითონრებულებას. ამასთან ერთად, ეს კომბაი-
ნების მწარმოებლობა, რენტაბელობა, ეკონომიკური ეჭვაზურული ფა-
გამოყენების შესაძლებლობა.

პირდაწილება

გამომდინარე ზემოთ ჩატევისიღან, მიზნიდ დავისახვით, თავის რაოდ
ნებში მარცვლებული კულტურების მთლიანი ბიოლოგური მოსავლის აღ-
ების ისეთი ტექნოლოგიისა და მანქანითა კომპლექსის დამუშავება-დასა-
ბუთება, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოების შესრულების მაღალ
ხილისხა და, მისთან ერთად მარცვლის დანავარებების, შრომისა და მა-
ცერიალური დანახარჯების შენიშვნამცვე შემცირებას.

გამოკვლევის მთავარი მოცანაა: დამუშავებული იქნეს ისეთი
ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას მოგვცემს უდინაარეთ და ერთ-
დროულად ავილოთ მარცვალიც, ჩალაცა და ბზეც; სწრაფად გავათავი-
სუფლოთ მინდორი ნარჩენებისაგან. რათა აღების პარალელურად გატა-
რდეს ნიადაგის დამუშავების მომდევნო სამუშაოები.

შეიქმნას სალექტი მანქანის ოპტიმალური დატეირთვის პირობები,
მოისპოს სარეველების მინდორში მოპნევისა და გავრცელების წყარო
და, რაც მთავარია, აღების მთელი პროცესი ჩატარდეს ნდუსტრიულ-
ნაკადური ტექნოლოგიით.

მარცვლებული კულტურების აღების არსებული (სხვადასხვა კვლე-
ვით ინსტრუმეტში — „ნპიკაზსელხოსმექანიზაცია“-ში დამუშავებული
და საზღვარგარეთის ჭვენებში ამ ბოლო წლებში გამოყენებული) ტექ-
ნოლოგიის ანალიზით დავრწმუნდებით. რომ მთიან პირობებში თავთა-
ვიანი მარცვლებული კულტურების აღებისათვის ყველაზე მიზანშეწონი-
ლია, გამოყენებული იქნეს მთელი ბიოლოგიური მოსავლის მინდორიდან
ერთლროულად (გაულეწად) გამოტანისა და სტაციონარული ან ნახე-
ვრად სალექტი მანქანებით ადგილზე დამუშავება.

ეს ტექნოლოგია ითვალისწინებს მარცვლეულის მოქას და სატრან-
სპორტო საშუალებაში შეგროვებას. გაულეწად მინდვრის გარეთ გამო-
ტანას და მინდვრის კიდეზე ან საეელე სტაციონარულ თუ ნახევრად
სტაციონარულ პუნქტში სტაციონარული (ან ნახევრად სტაციონარული)
სალექტი მანქანებით მის გალეწვის. ასეთი ტექნოლოგიისა და შესაბამისი
მანქანათა კომპლექსის გამოკვლევების მასალები ასეთ სურათს იძლევა:
კომბაინით აღებასთან შედარებით, მომკილი მასის მთლიანად გამოტანი-
სა და ნახევრად სტაციონარულ პუნქტში, მინდვრის ნაპირზე ლეწვის ჩა-
ტირების პირობებში, შრომის ხარჯი მცირდება 1,7—2,0-ჯერ, დაყვანილი
დანახარჯები მცირდება 1,1—1,7-ჯერ; მექანიზატორების საჭირო რაო-
დენობა ნაკლებია 2,2—3,7-ჯერ.

გარდა ამისა, შესაძლებელია მარცვლეული მოიმკას ცვალების სიმწიფეში, დაიღვან ზეინებად და გალეწვა ჩატარდეს მთელი მასის გა-მოშრობის შემდეგ. ზეინად დადგმული გასალეწი მასის შრობა მოაგრძელდება 6—10 დღეში, მარცვლის ხარისხი უმჯობესდება და არამარტინის დი მკვეთრად მცირდება. ეს გარემოება განსაკუთრებით მარცვლის დი ნია საქართველოს მთიანი რაიონებისათვის, სადაც კომბაინების მუშაობა მრავალმხრივაა შეზღუდული და კომბაინით აღების დროს მარცვლის დანაკარგი დაუშვებლად დიდია.

გავითვალისწინეთ რა საქართველოს მთიანი რაიონების მიწათმოქმედების თავისებურებები, შევეცადეთ. დაგვემუშავებინა მარცვლეული კულტურების აღების ისეთი ტექნოლოგია, რომელიც ყველაზე უფრო მისაღება აქცენტიდა მთიანი პირობებისათვის და იგვევო ისეთი მანქანები, რომელთა კომპლექსური მუშაობა დააკმაყოფილებს სამთო მოთხოვნებს.

საქართველოს მთიან პირობებში თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღების ჩვენ მიერ რეკომენდებული ტექნოლოგია შემდეგში მდგომარეობს:

— ყანა იმკება თვითმავალი სამკალ-შემგროვებელი მანქანით, რომელიც თავისესავე ჩარჩოზე მოწყობილ 30 მ³-მდე მოცულობის ძარაში ახდენს მომკილი (გაულეწვი) მასის მოგროვებას და დატკეპენას. ძარის ტევადობის მთლიანად შევსების შემდეგ მანქანა გამოიდის ყანიდან, მომკილი მასა მიაქვეს ახლოს დაყენებულ სალეჭ მანქანასთან, იქ დაცლის ძარას და ბრუნდება ყანაში მუშაობის გასაგრძელებლად.

— სამკალი მანქანის მიერ მოტანილი გასალეწი გროვა ილეწება სალეჭი მანქანით, რომელიც გადაღვილდება გასალეწი მასის გროვისაკენ წელი სიჩქარით და თვითონ შეითრევს პურეულს მიმწოდებელ-მაღაზირებელი მოწყობილობით.

— სალეჭ მანქანასთან მიდგმულია წნეხი, რომელიც ახდენს ჩალის საბერტყებიდან ჩამოსული ჩალის დაწნებვას.

— სატრაქტორო მისაბმელს მხოლოდ მარცვლის ნარევი მიაქვს კალოზე.

ამრიგად, მარცვლის, ჩალის და ბზის აღება და დაბინავება ხდება ერთდროულად, უწყვეტ ნაკადად, ნაკადური ტექნოლოგიით და მის შესრულებაში მონაწილეობს: 1. თვითმავალი სამკალ-შემგროვებელი მანქანა; 2. სტაციონარული სალეჭი მანქანა; 3. ჩალის წნეხი; 4. ჩელხის მწმენდი მანქანა; 5. მარცვლის ნარევის გადამტანი სატრაქტორო მისაბმელი.


საქართველოს სას.-სამ. ინსტრუმენტის მოსავლის ამღები მანქანების კათედრაზე რამდენიმე წელია მუშავდება ნაკადური ტექნოლოგიით მარცვლეულის აღების მანქანათა კომპლექსი. მა კომპლექსში შემავალი რამდენიმე მანქანა აგებული და გამოცდილი იქნა დუშეთის რაიონის ბაზა-

ლეთის კოლმეურნეობაში. ცდების დროს შემჩნეული რადიოგავებული თანდათან, მომდევნო პერიოდში სწორდებოლა, იხვეწებოდა ცალკეული კვანძის კონსტრუქცია და მათი მუშაობის ხასიათი. ერთი დროის

ჩვენ მიერ დამუშავებულ იქნა: 1. სამკალ-შემგროტუბის მიზანი მანქანა; 2. მარტივი სალეჭი მანქანა-ტრაქტორის ძალამზადებული ლილვით მომუშავე; 3. კომბინირებული აგრეგატი სალეჭ-საწნეხი.

ქვემოთ მოცემულია თითოეული ამ მანქანის პრინციპული სქემა და მუშაობის აღწერა.

სამკალ-შემგროვებელი თვითმავალი მანქანა შედგება შემდეგი ნაკილებისაგან: ტარაბუა (1) (ნახ. 1), მკრელი აპარატი (2), შენკი თითოებიანი მექანიზმით (3), მოტოვტივე ტრანსპორტიორი (4), მიმღები ბიტური (5), დოლი (6), რომელიც ასრულებს როტაციული ტრანსპორტიორის მოვალეობას, ხოლო მასზე დანების დაყენების შემთხვევაში — საკუჭი აპარატის მოვალეობას. დოლის უკან დაყენებულია სატექნი მოწყობილობა (7), რომელიც მომკილ მასას ტკეპნის მანქანის ძარაში (9). დანებიანი დოლისა და სატექნის ქვეშ დაყენებულია მიმმართველი (8). ძარის ძირზე მოთავსებულია განმტკირთი ტრანსპორტიორი (13); ძარის უკან მოწყობილია მისი უკანა ნაწილის გასახსნელ-დასაყეტი მექანიზმი, როგორც მოცემულია ნახ. 1-ის გარეშე.



ნახ. 1

შელიც შეიცავს უკანა კედლის ასაწევ ჩარჩოს (11), დასაშეებ ძროს (12) და სიგნალის ჩამრთველ ბერკეტს (10). მანქანაზე დაყენებულია შილაწვის ძრავა (14).

სამკალ-შემგროვებელი მუშაობს შემდეგნაირად: ტარაბუა (1) გამოყოფს ყანიდან ლეროების გარკვეულ რაოდენობას და გადახრის მკრელი აპარატისაკენ; მკრელი აპარატი (2) მოკრის ლეროებს; მოკრილი ლეროები მიეწოდება შენკს (3), რომლის თითოებიანი მექანიზმი მოკრილ მასას გადასცემს მოტივტივე ტრანსპორტიორს (4); მოტივტივე ტრანსპორტიორი ქვედა შტოთი შეითრევს პურის მასას და გადააწოდებს მიმღებ ბიტურს (5), მიმღები ბიტური გადააწოდებს დოლს (6), რომელიც ასრულებს ბიტურის მოვალეობას და პურის მასას გადააწოდებს სატექნი.

ნი მექანიზმის თითებს (7). სატკეპნ მექანიზმს პურის მასა გადაეცეს კანკანის ძარაში და ახდენს მის დატკეპნას, რათა, რაც შეიძლება შეტკი აროდენობის მასა მოთავსდეს მახქანის შემგროვებელ ნაწილში — ძარაში (9). მემანქანე პერიოდულად ახდენს განმტვირთი ტრანსპორტის მართვის და ეს უკანასკნელი პურის მასას გადასწევს ძარის უკანი მუქება წილის მიმართულებით, რათა სატკეპნებს გაუადვილოს მუშაობა. ძარის შევსებისა და სათანადო სიმკვრივით პურის მასის დატკეპნის შემდეგ სასივნალო ბერკეტი (10) ჩართავს ელექტროსიგნალს, რითაც მემანქანე იგებს, რომ ძარა შევსებულია და საჭიროა მკის პროცესის შეწყვეტა.


მემანქანე აჩერებს სამკალ-შემგროვებელს, სამკალი ნაწილი გადაჰყავს სატრანსპორტო მდგომარეობაში, მახქანა გამოიყავს ყახიდან და მიღის სალეჭ-საწნერი აგრეგატის მიმართულებით.

სამკალ-შემგროვებელი მახქანა სამუშაო შდგომარეობაში ნაჩევნებია მე-2 ნახ.-ზე. მახქანას მართავს მდგომლი. მახქანა თეოთმავალია და აგებულია თეოთმავალი კომბაინის ბაზაზე. სალეჭი ნაწილი გადაკეთებულია ძარად, რომელშიც გროვდება მომკილი პურის მასა. მახქანაზე დგას კომბაინის ძრავა. იგი გადატანილია რამდენადმე წინ, რითაც განთავისუფლებულია ადგილი ძარის ტევადობის გაზრდის მიზნით, პურეულის შასით სავსე ძარიანი სამკალ-შემგროვებელი იღის სალეჭ მანქანასთან და მის წინ ცლის ძარას (იხ. ნახ. 3). ძარის დაცლისათვის მემანქანე ხსნის მანქანის შემგროვებული ნაწილის უკან ჩაოჩეს სატერს და ჩართავს გამულელ ტრანსპორტიორს 13. ძარის ძრო 12 ეშვება დაბლა, უკანა ჩარჩო კი ბერკეტის 11 მოქმედებით იწევს მაღლა. ტრანსპორტიორს 13 პურეულის მასა გამოაქვს ძარიდან და ყრის დაბლა. ძარის გაცლის პერიოდში მანქანა ნელ-ნელა გადაადგილდება წინ, რათა პურეული მასა დაყაროს არა ერთხაირ გროვად-ბულულის სახით, არამედ გრძლად გაშლილი გარკვეული სისქის ფენად, რათა გაუადვილოს სალეჭი მანქანის მიმწოდებელ-დოზატორს შუშაობა. ძარის დაცლის შემდეგ მემანქანე გამორთავს გამულელ ტრანსპორტიორს, დაკეტავს ძარის უკანა ნაწილს და მიემართება ყანაში მკის გასაგრძელებლად.

ნახვრად სტაციონარული სალეჭი მანქანა შედგება შემდეგი ნაწილებისა და კვანძებისაგან: მანქანის წინ დაყენებულია მიმწოდებელ — დოზატორი (1) (ნახ. 2), მის უკან შენეკი თითებიანი მექანიზმით (2), მოტივივე ტრანსპორტიორი (3), მიმღები ბიტერი (4), სალეჭი დოლი (5), დოლეჭება (6), ამრიდი ბიტერი (8), ჩალის საბერტყი (9), დამცურებელი დაფები (7) და (10), განმტვირთი შენეკი (11), მისაბმელი (12), თეითდა-საყენებელი თვალი (13), პილოტულინდრი (14).

სალეჭში ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს შემდეგნაირად: სალეჭი მანქანის მიმწოდებელი დოზატორის (1) წინა ძელი მიაწვება გასალეჭი მასის ზედა ნაწილს და თუ გროვა მაღალია, მის ზედა ნაწილს

გადასწევს შინ, რათა დოზატორს გაუადვილოს ზედმეტუ ფენის მოხსნა. მიმწოდებელ-დოზატორის ქვედა ნაშილი ასრულებს ამკრეფას მრავალფე-



ნ. 6, 2

ობას და ცდილობს პურეულის მასა მიაწოდოს შენექსა და თითებიან მექანიზმს (2), ზედა ნაშილი კი ასრულებს დოზატორის მოვალეობას და ცდილობს მთაცილოს მიწოდებული მასის ზედა ფენა, რათა დაიცვას თანაბარი მიწოდება.

შენექს (2) გადაცემულ გასალეწ პურეულს თითებიანი მექანიზმი მიაწოდებს მოტივტივე ტრანსპორტიორს (3), ეს უკანასკნელი—მიმღებ ბიტერს (4), შემდეგ პურეულს ჩაითრევს სალეწი დოლი (5), გაატარებს მას დოლსა და დოლეჭვებას (6) შორის და გამოლეწავს. დოლეჭვებას შუალედებში გასული მარცვალი და ბზე იყრება დამცურებელ დაფაზე (7) და მიემართება განმტვირთი შენექის (11) საკანში.


დოლიდან გამოტყორუნილი გალეწილი მასა ეჭახება ამრიც ბიტერს (8) და იყრება კლავიშის (9) ზედაპირზე. კლავიში ახდენს გალეწილი მასის აბერტყვას, გამობერტყავს ჩალის ფენიდან მარცვალს და ბზეს. ჩალა გადააღგილდება სალეწის უკანა ნაშილის მიმართულებით და გაღმოყენება დაბლა. სალეწის უკან მიღვმულია ამკრეფწნენები და საბერტყების ზედაპირიდან ჩამოსული ჩალა იყრება ამკრეფწნენების ამკრეფზე, მიეწოდება წნეხს და იწნეხება ბარღანებად.

ჩალის საბერტყის მიერ გამობერტყილი მარცვლის ნარევი ღამცურებელი დაფით (10) მიემართება განმტვირთი შენექისკენ. განმტვირთ შენექს გასაწმენდი მარცვლის ნარევი გამოაქვს მანქანიდან და გადააქვს სატრანსპორტო საშუალების ძარაში. მარცვლის ნარევი სატრანსპორტო საშუალებას მიაქვს კალოზე, ზაღაც იწმინდება ჩელნის მწმენდი მანქანით. გაწმენდის დროს გამოყოფილი ბზე ტრანსპორტიორით გადაღის საბერტყი—ბზის შესანახ ფარდულში, მარცვალი კი სახარისხებელ მანქანაში.

